საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარი

ბარი, გავაზი (Falco cherrug), მტაცებელი ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძე 60 სმ, ფრთების შლილი 130 სმ აღწევს. ზურგზე ბუმბული მონაცრისფრო-მურაა, მუცელზე – თეთრი, მურა ან შავფხაჭებიანი. გავრცელებულია სამხრ.-აღმ. ევროპაში, აზიასა და ჩრდ.-დას. აფრიკაში ტყე-ველის, ველისა და უდაბნოს ზონებში.

საქართველოში გვხვდება მხოლოდ მიმოფრენისას, იშვიათად – ზამთრში. ბუდეს იკეთებს კლდეებში, მაღალ ხეებზე. იკვებება მღრღნელებით და პატარ-პატარა ფრინველებით. მსხვერპლს ჰაერშივე იჭერს, მაგრამ შეუძლია მიწიდანაც აიტაცოს. შეტანილია „საქართველოს წითელ ნუსხაში“.

რ. ჟორდანია